პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 დეკემბერი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 249 (9410) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სეზონის ბოლო გამარჯვება

ოლეგ სტრიჟაკოვმა სსრ კავშირის თასი მოიპოვა

ამ დღეს დუშანბეში თბილი ამინდი იდგა. თერმომეტრი 15 გრადუს სითბოს აჩვენებდა. ს. აინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი — ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი რაიონი ხალხით იყო სავსე. მძლეოსნურ კროსში საკავშირო თასის გათამაშებამ ჩვენი ქვეყნის 200-ზე მეტ უძლიერეს კროსმენს მოუყარა თავი. აქ იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონებიცა და რეკორდსმენებიც, დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულნი...

სტარტი პირველად ქალთა 5-კილომეტრიან დისტანციაზე რბენას მიეცა. აქ თავი 25 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, მოსკოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა მარინა როდჩენკოვამ გამოიჩინა. ფინიშის ხაზი 14 წუთისა და 23,6 წამის შემდეგ გადაკვეთა. მეორე ადგილი ალმა-ათელმა ნატალია სორაკიევსკაიამ დაისაკუთრა (14.26,2), მესამე — ჩერნიგოველმა ნატალია ლაგუნკოვამ (14.30,0).

გაცილებით უფრო დაძაბულად წარიმართა რბენა ვაჟთა 10-კილომეტრიან დისტანციაზე. ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონმა 23 წლის თბილისელმა ოლეგ სტრიჟაკოვმა. მინსკელი ვიქტორ ჩუმაკოვი მას მთელი დისტანციის მანძილზე შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. სპატიო პრიზის ბედი, ფაქტიურად, ფინიშზე გადაწყდა. სტრიჟაკოვმა შეინარჩუნა ლიდერობა და საკონტროლო ხაზი პირველმა გადაკვეთა—29.46,3, ჩუმაკოვს მეორე შედეგი ჰქონდა — 29.47,2. მესამე ადგილი ხაბაროვსკელმა ანდრეი კუზნეცოვმა დაიკავა — 29.50,0.

ფარმოგიდგენთ კანდიდატურებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

დილარ ხაბულიანი, ომარ მერაბიშვილი



დილარ ხაბულიანი



ომარ მერაბიშვილი

ოთხი წელია დილარ ხაბულიანი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელად მუშაობს. მწვრთნელის საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა, სპორტული შედეგებით ფასდება. ბოლო წლებში საქართველოს ფალავნებმა არაერთი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ჩამოვთვლით მხოლოდ მთავარს: საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა — გუნდური I ადგილი; მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადა — I ადგილი; ჭაბუკთა პირველი საკავშირო სპორტული თამაშები — I ადგილი; საბჭოთა კავშირის თასის 1985 წლის გათამაშება — I ადგილი; საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა — II ადგილი; საბჭოთა კავშირის თასის 1986 წლის გათამაშება — II ადგილი; საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული გუნდური პირველობა — I ადგილი. შთამბეჭდავი შედეგებია!

წლევანდელი სპორტული სეზონის მთავარი შეჯიბრება, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა იყო. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა, შეიძლება ითქვას, ყველაფერი გააკეთეს პირველობის შესანარჩუნებლად, მაგრამ... გულშემატკივრებს ალბათ ეხსომებათ, რომ სპარტაკიადის დებულებაში შეტანილმა ცვლილებებმა (პარალელურ ჩათვლას ვგულისხმობთ) მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა საბოლოო ადგილების განაწილებაში. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა 138 ქულით დაიწყო სპარტაკიადა, ჩვენს ნაკრებს კი პარალელური ჩათვლა საერთოდ არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს გუნდმა 209,5 ქულა მოაგროვა და მხოლოდ 4,5 ქულით ჩამორჩა რსფსრ-ს ნაკრებს. რვიდან ოთხ წონით კატეგორიაში ქართველმა ფალავნებმა მოიპოვეს უძლიერესის სახელი, ორმაც ბრინჯაოს ჯილდო მიიღო. ასეთი რამ არ ახსოვს სასპარტაკიადო ტურნირე-

იხ. მე-3 გვ.

45 საუკეთესოს შორის

საბჭოთა კავშირის რეგბის ფედერაციამ, საკავშირო სპორტსახკომის შესაბამისმა განყოფილებამ და ჟურნალისტებმა, რომლებიც ამ სახეობას კურირებენ, წელს მეცხრამეტედ მოაწყვეს გამოკითხვა ქვეყნის 45 საუკეთესო რეგბისტის გამოსავლენად (1981 წლამდე 30 საუკეთესო რეგბისტს ასახელებდნენ).

იმ რეგბისტთა შორის, რომლებმაც წლევანდელ სეზონში თავი გამოიჩინეს, ქართველი სპორტსმენებიც არიან. აი, ისინიც: **თენგიზ ტურძელაძე, ოლეგ ლაპარტელიანი, ბართლომე ხამაშურიძე** (სამივე — ქუთაისის „მშენებელი“), **ვახტანგ კაპანაძე, გიორგი ბერიაშვილი** (ორივე — თბილისის „შევარდენი“).

ტრადიციებს არ ვუღალატებთ

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი კალათბურთში **მერაბ მიხეილის ძე კეკელიძე** დაინიშნა თბილისის 58-ე გახანგრძლივებული დღის რეჟიმის კალათბურთელთა სპეციალიზებული სკოლის დირექტორად.



● თქვენი საქმიანობის მიზანი?

— მე ასე ვფიქრობ: ყველა ბავშვი, ყველა მოზარდი მარტო ფიზიკურად კი არა, სულიერადაც და გონებრივადაც განვითარებული უნდა იყოს. ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ასეთი თაობა ასახელებს. ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ჩვენს სკოლაში სულით და ხორცით ჯანსაღი ბავშვები აღიზრდონ.

● გაგვაცანით თქვენდამი რწმუნებული სკოლის სპეციფიკა.

— ეს სკოლა კავშირის მასშტაბით უნიკალურია. პირველად აქ მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლების თავისებური სინთეზი. ბავშვები სკოლაში სწავლობენ, გაკვეთილებს ამზადებენ, სადილობენ და დღეში ორჯერ ვარჯიშობენ.

● ასეთი დატვირთული დღის რეჟიმის განუხრელი დაცვა რთული იქნება.

— სირთულეები ყველა წამოწყებას ახლავს თან, ვერც ჩვენ გადავურჩებით მათ, მაგრამ დაბრკოლებათა გადალახვაში გამოცდილი და ენთუზიასტი პედაგოგები გვეხმარებიან.

● როდის დაარსდა თქვენი სკოლა?

— ოთხი წლის წინ. ამ სასწავლებელს დიდი ამაგი დასდო მისმა პირველმა დირექტორმა ლევან ჩხიკვაძემ. ჩემი წინამორბედის ღირსებების ჩამოთვლას აქ არ შევუდგები... ვიტყვი მხოლოდ, რომ სკოლას დიდუბეში მშვენიერი ოთხდარბაზიანი კომპლექსი აქვს.

● პროფილი თავისთავად მიგვანიშნებს თქვენი საქმიანობის სფეროზე.

— დიახ, ჩვენი საქმიანობის მიზანი დიდი კალათბურთისთვის ღირსეული რეზერვის მომზადებაა. რესპუბლიკის გუნდებს, მათ შორის „დინამოსაც“, შევსება სჭირდება. ჩვენ ვალმოხდილად ჩავთვლით თავს, თუ მას დავეხმარებით. და თუ ამას ვერ შევძლებთ, ჩათვალეთ, რომ საქმეს თავი ვერ გავართვით.

● როგორი სულისკვეთებაა სკოლის მწვრთნელ-აღმზრდელთა შორის. მხარს გიჭერენ თუ არა ისინი?

— სხვა სკოლებიდან ჩვენი იმით გამოირჩევა, რომ აქ მხოლოდ ენთუზიასტი მწვრთნელები მუშაობენ, ისინი, ვისაც აქვთ პროფესია, მაგრამ კალათბურთის სიყვარულმა და ბავშვებთან მუშაობის სურვილმა ჩვენთან მოიყვანა. ჩვენ ერთი მიზანი გვაკავშირებს.

● მართალია, ოთხი წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე რაიმე თვალსაჩინო წარმატებას თუ მიაღწიეთ?

— ჩვენი სკოლის აღსაზრდელებმა ორჯერ სხვადასხვა ასაკის ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო ფესტივალზე გაიმარჯვეს, ერთხელ საკავშირო პირველობაში ისახელეს თავი, ადარაფერს ვამბობ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ტურნირებზე...

● წარმატებებს გისურვებთ მომავალშიც.

— ვეცდებით, ტრადიციებს არ ვუღალატოთ.

ახალი გზით

საკავშირო კორესპონდენტის შეკითხვებზე უპასუხებს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჩიკვაიძე



— ამ წლის დამთავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე თქვენ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარედ აგირჩიეს, მაგრამ, როგორც ვიცით, 1986 წელი თქვენთვის პირველი „საჭადრაკო“ წელი არ ყოფილა...

— არჩევანი ჩემზე, ალბათ, იმიტომ შეაჩერეს, რომ ძალიან მიყვარს ეს უძველესი თამაში, ეს სიყვარული ღრმა და გაუნელებელია. გარდა ამისა, მე ერთხელ უკვე ვიყავი საჭადრაკო ორგანიზაციის თავმჯდომარე: 1972-1978 წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას ვმეთაურობდი.

— ალბათ, თქვენ თვითონაც თამაშობთ ჭადრაკს!

— დიახ. ჩემპიონიც ვიყავი: თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პირველ ჩემპიონატში გავიმარჯვე 14 წლამდე ასაკის ბავშვთა შორის. მე ამ სასახლეში აღვიზარდე, პირველად იქ შევხვდი ტიგრან პეტროსიანს და ეს შეხვედრა დღემდე მახსოვს. საკუთარი თავი შემაჩნია ცნობილი ქართველი ოსტატის ალექსანდრე ბლაგიძისა და მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის მოწაფედ, რომელიც სამართლიანად ითვლება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში აღიარებული ქალთა ქართული საჭადრაკო სკოლის შემქმნელი.

იხ. მე-3 გვ.

ამ კლუბს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ლევან თედიაშვილის სახელი ტკბილად როდი მიანიჭეს. ახალგაზრდებს უყვართ ხაბელოვანი ფალავანი და ცდილობენ ყველაფერში მას მიბაძონ. კლუბის წევრთაგან დიდი მოჭიდავე ყველა, რა თქმა უნდა, ვერ დადგება. ხამაგიეროდ რეგულარული გარჯისა ახალგაზრდებს ორგანიზმს გაუკაუებს, გამოაწრთობს. ესეც რა თქმა უნდა, საჭიროა!

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

ზაგრების (იუგოსლავია) **გაზეთ „ვეესნიკის“ ტრადიციული ანკეტის შედეგების მიხედვით მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დასახელებულია 1986 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკედ.**

პრაღა. იუნიორ ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენები ლიდერობენ. ბოლო შეხვედრაში მათ შვეიცარიის ნაკრებს აჯობეს — 8:0 (2:0, 1:0, 5:0).

ბონრეალი. სსრ კავშირის ჭაბუკ ჰოკეისტთა ნაკრები აქ ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს. სტუმრებმა ორი ბრძოლა უკვე მოიგეს — დაამარცხეს ონტარიოს პროვინციის გუნდი 7:4 და 6:4.

აღიარება

ჩვენი რესპუბლიკის ცნობილ არბიტრს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს კრივში **ზაურ გვაჯავას** მიენიჭა აიბა-ს (სამყაროულო კრივის საერთაშორისო ფედერაცია) მსაჯის საპატიო წოდება. ამიერიდან მას უფლება აქვს იმსაჯოს ყველაზე მაღალი რანგის ტურნირები და მატჩები.

საქართველოს სპორტსახკომში გიგლიოთეკა

სპორტში სიყალბე ერთხელ და სამუდამოდ დაიგმო. სახოგადოებრიობის გულისწყრომას სამართლიანად იწვევს თვალთმაქცობის ყოველგვარი გამოვლენა, რადგან სიყალბეს დისონანსი შეაქვს ჩვენს სპორტულ მოძრაობაში. სამართლიანი ბრძოლის ატმოსფეროში სპორტული წარმატების მოპოვებას არაფერი უნდა უშლიდეს ხელს.

ᲥᲐᲛᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ, ᲥᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲫᲚᲐ ᲮᲜᲐᲕᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ დამთავრდა ისე, როგორც მოველოდით. საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი ვერ მოხვდა IX სპარტაკიადის ფინალში და ჯგუფური ტურნირის დამთავრებისთანავე შინ დაბრუნდა. სპეციალისტთა პროგნოზი ამჯერად გამართლდა: სამი შეხვედრა, სამი დამარცხება (რუსეთის ფედერაციის, უზბეკეთისა და ესტონეთის გუნდებთან) და არც ერთი მოგებული პარტია.

რაკი ასე ზუსტად და შეუცდომლად ვიპარაფუდეთ დიდი შეჯიბრების შედეგი, ალბათ ვიცოდით კიდეც რა შეგვეძლო, მით უფრო, რომ ჯგუფში ორი საკმაოდ ძლიერი მეტოქე (რუსეთის ფედერაცია და უზბეკეთი) გვყავდა. შეიძლებოდა თუ არა შეხვედრის მოგება ესტონეთის გუნდთან? ზოგი სპეციალისტის აზრით შეიძლებოდა, თუკი... მაგრამ ის ორი პირობა, რასაც ისინი ასახელებენ, სერიოზულად არ მიგვაჩნია.

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ სპორტის სახეობათა უფროსმა მწვრთნელებმა და სპორტსახკომის შესაბამისი განყოფილებების წარმომადგენლებმა ვრცელი ანგარიშები წარმოადგინეს. ამ ანგარიშებში ჩვენი სპორტსმენების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ტრავმებია დასახელებული. ტრავმისაგან სპორტსმენი მართლაც არ არის დაზღვეული, მაგრამ რადგან ტრავმა წარუმატებლობის ძირითად მიზეზადაა დასახელებული, თავს უფლებას ვაძლევთ ამ განმარტებას არ დავეთანხმოთ.

ესტონელებთან განცდილი მარცხის მიზეზად ჩვენი წამყვანი მოთამაშეების ი. მხითარიანისა და ნ. რევას ტრავმების გარდა მინიშნებულია ცივ სპორტდარბაზში თამაში. ჯერ ერთი, გვაკვირვებს ის, რომ ყოველთვის წამყვან მოთამაშეებს მოსდით ტრავმები, მეორეც — რატომ გვგონია, რომ ესტონელებს შეუძლიათ ცივ, გაუმთბარ სპორტდარბაზშიც კარგად ითამაშონ, ჩვენ კი არა?

განა უფრო სწორი არ იქნება პირდაპირ ვთქვათ, რომ IX სპარტაკიადისათვის სამზადისი ჩვენმა ნაკრებმა გუნდმა 1986 წლის მარტში დაიწყო, რომ ერთი თვის შემდეგ გამოიკვეთა ძირითადი ექვსეული, რომელიც მანამდე ამ სახით არც ერთ შეჯიბრებაში არ გამოსულა, თანაც ამ ექვსეულიდან მხოლოდ ერთ ფრენბურთელს — ი. მხითარიანს ჰქონდა საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობის გამოცდილება.

ფრენბურთელ ქალთა გუნდის წარუმატებლობის მიზეზი სულ სხვაა და იგი ზუსტად ასახავს სპორტის ამ სახეობის განვითარების მდგომარეობას რესპუბლიკაში. ამიტომაც არ ჰქონდათ სპეციალისტებს ფინალში გასვლის იმედი და აქ ისინი არ ტყუოდნენ.

ქალთა ფრენბურთი ჩვენში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი სახეობაა და მწვრთნელებს მოკლე დროში სრულფასოვანი გუნდის მომზადებას ვერც მოვთხოვდით, მაგრამ ჩამორჩენის უტყუარი მიზეზების დადგენა დიდი საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი რამდენიმე ათეული წლის მუშაობის ღრმა და ყოვლმხრივ ანალიზს მოითხოვს და მომავალი შეცდომებისგან დაგვაზღვევს.



რაც შეეხება სპარტაკიადაზე განცდილ მარცხს, იგი თავად გუნდის მდგომარეობამ განაპირობა. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ რესპუბლიკის ნაკრები ტურნირის მონაწილეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივი იყო (ერთი მოთამაშე 20 წლისა, სამი ფრენბურთელი — 19-ის, დანარჩენი კი 16-17-ისა). 3-4 წლით უფროსი მოთამაშე ასეთ დროს დიდი უპირატესობაა, ვინაიდან იგი გარკვეულ სატურნირო გამოცდილებას ნიშნავს. ჩვენს გოგონებს სვერდლოვსკში (ფრენბურთელთა სასპარტაკიადო შეჯიბრება სწორედ ამ ქალაქში ჩატარდა) არც გამარჯვების სურვილი აკლდათ, არც მონდომება, მაგრამ რა უნდა ეღონათ გამოუცდელებს? აღმართს ხომ ძალა ხნავს?

ზემოთ ვთქვით, რომ ნაკრების ძირითად ექვსეულს, რომელიც 1986 წლის მაისში გამოიკვეთა, მანამდე ერთად არ უთამაშია. მერე, ცხადია, დაიწყო ინტენსიური მზადება, საკონტროლო და ამხანაგური შეხვედრები — გუნდს შეკავშირება სჭირდებოდა. ექვსი თამაში ჩვენმა გოგონებმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების პროგრამით ბაკოში ჩაატარეს, ოთხი შეხვედრა — საქართველოს სპარტაკიადაზე, ორი მატჩი — თბილისის „ბურევესტნიკთან“ და ორიც, უკვე საკონტროლო ბრძოლა, სვერდლოვსკის „ურალოჩკას“ მესამე გუნდთან. ამბობენ, ამ შეხვედრებში ჩვენი ქალთა გუნდი ურიგოდ არ გამოიყურებოდაო. ალბათ ასეც იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ მატჩებში მეტოქე არ გვყავდა ღირსეული.

საკონტროლო შეხვედრებშივე გამოიკვეთა ზოგი ნაკლი, რომლის გამოსწორება მოკლე დროში, ცხადია, შეუძლებელია. თუნდაც ის, რომ ჩვენი გუნდი ტანმორჩილი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ამ პრობლემის გადაჭრას დრო სჭირდება, დრო და მთელი ძალების მობილიზება. მწვრთნელები, სპეციალისტები, ფრენბურთის აქტივისტები ტალანტებს სანთლით უნდა ეძებდნენ ქალაქებში, რაიონებში, სოფლად.

ერთი სიტყვით, ფრენბურთის აღორძინება ბავშვთა სპორტიდან უნდა დაიწყოს, თორემ რა გამოდის? რესპუბლიკის ნაკრები გუნდები (გოგონები და მოზრდილები) რეზერვს მხოლოდ თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლიდან (დირექტორი გ. იმნაძე) იღებენ. ამ დროს კი აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში, გორში, რუსთავში ჯგუფებს შტატიანი მწვრთნელები უძღვებიან, მაგრამ ისინი მუშაობენ თავისთვის, შეიძლება ითქვას, სხვათა შორის და ფრენბურთისთვის სარგებლობა არ მოაქვთ.

უყაირათობის, უგულისყურობის, დროისა და სახსრების უმიზეზოდ ფლანგვის კლასიკური მაგალითი სწორედ ეს გახლავთ. რისთვის არსებობს ჯგუფი და საშტატო ერთეული, რისთვის იღებენ მწვრთნელები ხელფასს, თუ წლების მანძილზე თუნდაც ერთ, მეტ-ნაკლებად გამოსადეგ ფრენბურთელს ვერ ზრდიან? ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ამგვარი დანაშაულისათვის პასუხს აგებენ. სწორედ ამიტომ მკაცრი პასუხი უნდა მოეთხოვოთ იმ მწვრთნელებსაც, რომლებიც ყველა შეღავათებითა და უფლებებით სარგებლობენ, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს კი ერთ ფრენბურთელსაც ვერ უზრდიან.

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები ცუდად გამოვიდა... თავის შესაძლებლობებზე უფრო სუსტად კი არა — ცუდად. უკეთესი შესაძლებლობები მას არც ჰქონდა, ვინაიდან ფრენბურთის განვითარება საქართველოში საკავშირო სტანდარტებს საგრძნობლად ჩამორჩება. აი, ამას უნდა მივაქციოთ, პირველ რიგში, ყურადღება.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲮᲙᲝᲛᲘᲡ კოლეგიამ ამ დღეებში იმსჯელა ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშებისათვის საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის ფორმირებისას და თამაშებში მონაწილეობის დროს დაშვებული უხეში დარღვევების შესახებ.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ, აღრე მიღებული უმკაცრესი ზომებისა და გაფრთხილებების მიუხედავად, კვლავ შეიმჩნევა სპორტსმენთა ბიოგრაფიული მონაცემების, კერძოდ, ასაკის დამახინჯების შემთხვევები. პრესის ორგანოებში შესული მამხილებელი სიგნალების შემოწმებით დადგინდა, რომ ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომელიც შარშან კიევში გაიმართა, საქართველოს 73 წარმომადგენლიდან (განაცხადის მიხედვით) 12 სპორტსმენის წლოვანება აღემატებოდა შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებულს (1968-1969 წწ.). ესენი იყვნენ: არჯევანიძე (დაბ. 1966 წ, „დინამო“, თბილისი); აფციაური (1966, „კოლმეურნე“, ბარდაბანი); გაფრინდაშვილი (1966, „კოლმეურნე“, ჭიათურა); გამეზარდაშვილი (1966, „ზენიტი“); გლაზოვი (1966, „დინამო“, თბილისი); ივანოვი (1966, „დინამო“, თბილისი); მარკუშინა (1966, „სპარტაკი“, რუსთავი); ზაბროსკოვი (1967, „დინამო“, თბილისი); ნოვინკინა (1967, „ლოკომოტივი“, სოხუმი); სუშკოვა (1967, „დინამო“, თბილისი); ტიმოფეევი (1967, „დინამო“, თბილისი).

ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში ჩვენმა მძლეოსნებმა VII ადგილი დაიკავეს და 738,5 ქულა მოაგროვეს. აქედან 212 ქულა ზემოთ დასახელებული 12 სპორტსმენის წილად მოდის. მათს გარეშე ჩვენს ნაკრებს მოპოვებული აქვს 526,5 ქულა.

კოლეგიაზე საკითხის განხილვისას აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჩვენი გუნდის მზადებისათვის პასუხისმგებელ მუშაკებს ს. შჩეგოლევსა და ო. ხერხეულიძეს ჭაბუკთა თამაშებში მოპოვებული „წარმატებისთვის“ მიენიჭათ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება, ხოლო მწვრთნელ-სპეციალისტთა ერთი ჯგუფი სპორტსახკომის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა და მათ მადლობაც გამოეცხადათ.

ითქვა ისიც, რომ ეს ყოვლად უმსგავსო ფაქტი სათავეს იღებს ნაკრების უფროსი მწვრთნელის შჩეგოლევის არაეთიკური და არაპედაგოგიური მოქმედებიდან და იმ უკონტროლობიდან, რაც ნაკრების დაკომპლექტებისას სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველომ (ტ. ბახტაძე) გამოიჩინა. უპრინციპობა გამოიჩინეს ამავე სამმართველოს მუშაკებმა, რეზერვის მომზადებისთვის პასუხისმგებელმა ო. ხერხეულიძემ და საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორმა დ. იოსელიანმა.

კოლეგიამ აღნიშნა ისიც, რომ ყოველივე ეს გამოიწვია რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარების პრობლემებისადმი უყურადღებობამ, იმ უინიციატივობამ და ინერტულობამ, რაც მძლეოსნობის კურატორმა, სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. მეტრეველმა გამოიჩინა.

ჯეროვან სიმაღლეზე არ აღმოჩნდნენ მძლეოსანთა პირადი მწვრთნელებიც, რომლებმაც წაუყრუეს ფალსიფიკაციის ფაქტს. ესენი არიან: ნ. თვაური, რ. ეპა, მ. შჩეგოლევა, ლ. დარახველიძე, ვ. ფიოდოროვი, გ. ზრაყევსკაია, ს. ჟურძუკი, ნ. კოლიევი, გ. მაიერი.

კოლეგიაზე ხაზგასმით ითქვა, რომ სპორტსმენთა ბიოგრაფიული მონაცემების შეცვლის ფაქტები, რაც კვლავ გრძელდება, ქმნის მოჩვენებით კეთილდღეობას და ცრუპრესტიჟულობის განწყობას, რასაც გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს ახალგაზრდებისთვის — ხელს უშლის მათ ზნეობრივ აღზრდას, აფერხებს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

კოლეგიამ ს. შჩეგოლევს მოსთხოვა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება. მხედველობაში მიიღეს საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ცნობა იმის შესახებ, რომ შჩეგოლევი განთავისუფლებულია პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობიდან.

ამავე სკოლის დირექტორს დ. იოსელიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. მიღებულია ცნობად საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსის ვ. ქურდიანის განცხადება, რომ დ. იოსელიანის თანამდებობაზე დარჩენის მიზანშეწონილობის საკითხი მისი გამოჯანმრთელების შემდეგ განიხილება.

მძლეოსნობაში სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ო. ხერხეულიძეს, რომელიც გთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, მოეხსნა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება.

სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსი ტ. ბახტაძე იმსახურებს თანამდებობიდან განთავისუფლებას, მაგრამ კოლეგიამ მხედველობაში მიიღო მისი გულახდილი განცხადება და მომხდარი ფაქტისადმი თვითკრიტიკული მიდგომა, აგრეთვე ბოლო ხანებში მძლეოსნობის განვითარებაში მომხდარი პოზიტიური ძვრები და მას სასტიკი საყვედური და უკანასკნელი გაფრთხილება აკმარა.

მწვრთნელებს — თვაურს, ორფანოვს, შჩეგოლევას, ჟურძუკს, ფიოდოროვს, კოლიევს, ზრაყევსკაიას, ეპას, მაიერს და დარახველიძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. მიღებულია გადაწყვეტილება 1987 წლის პირველ კვარტალში ზემოთ დასახელებული მწვრთნელებისათვის ატესტაციის ჩატარების შესახებ, რის შემდეგაც კოლეგია საბოლოოდ გადაწყვეტს მათს საკითხს.

დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებები რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში მომთხოვნელობისა და დისციპლინის განმტკიცების, მსგავსი ფაქტების წარმოშობის ყოველგვარი შესაძლებლობის აღმოფხვრისა და მუშაობის გარდაქმნის მიზნით.

სილნაღსაც ეწვია

სილნაღში მიმდინარეობს მოსწავლეთა შეჯიბრება „მხიარული სტარტები“. შეჯიბრება კარგადაა ორგანიზებული და საქმეს ყველა პასუხისმგებლობით ეკიდება.

შეჯიბრებები სილნაღის სპორტული კომპლექსის მთავარ დარბაზში ყოველ შაბათს იმართება. გუნდებს თავიანთი სახელები აქვთ და განსხვავებული ფორმებით გამოდიან. საუკეთესო ფორმისათვის გუნდს დამატებით ორი ქულა ეწერება. ტრადიციული მისალმების შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან დგარებს შორის ბურთის ტარებაში, ველოსიპედებით ამანათრბენში, რგოლებში საჰაერო ბურთის გატარებაში, ლახტში და სხვა. პაუზების დროს სკოლები უჩვენებენ თავიანთ თვითშემოქმედებას: სრულდება ხალხური და საესტრადო სიმღერები, სცენები ცნობილი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებებიდან. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს აძლევენ, პასუხი ამ შეკითხვებზე, ისევე როგორც „მხიარული სტარტების“ სპორტული ნაწილი და მხატვრული გაფორმება, ხუთბალიანი სისტემით ფასდება.

სტარტზე გამოდიან საოჯახო გუნდებიც. საკმარისია ყური დაუგდოთ ბავშვების ერიამუღს, შეხედოთ მათ გაბრწყინებულ თვალებს, რომ მიხვდებით რა ცოტაა საჭირო მათი ბედნიერებისათვის. დიახ, „მხიარულმა სტარტებმა“ გამოაცოცხლა სილნაღელები.

შეჯიბრების პროგრამის შემდგენელი და ერთ-ერთი სულისჩამდგმელია ასპარეზობის მთავარი მსაჯი შოთა ყანჩაშვილი.

— ჯერჯერობით ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც ჩვენ გვსურდა. ფინალურ ეტაპზე პროგრამას უფრო გავართულებთ და შეჯიბრებაც გაცილებით საინტერესო გახდება. გუნდებსაც მეტ დროს მივცემთ მოსამზადებლად. მთავარი საქმის დაწყებაა, თანდათან ყველაფერი მოგვარდება, — გვითხრა მთავარმა მსაჯმა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲐᲪᲝᲕᲘᲚᲘ.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲐᲟ. ᲙᲝᲠᲠ.

სილნაღი.

18 სახეობაში

ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘ დასრულდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ რაიონული სპარტაკიადა. პროგრამაში იყო სპორტის 18 სახეობა. კოლმეურნეობებს შორის გაიმარჯვეს სოფელ ურთის ფიზკულტურელებმა. მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებს შორის ყველას აჯობეს ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტსმენებმა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲔᲥᲘᲐ,

ᲖᲔᲘᲛᲝᲒᲔᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ

ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ შეხვდნენ ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები და მათი მშობლები „ლელოში“ გამოცხადებულ რესპუბლიკურ დაუსწრებელ დათვალიერება-კონკურსს მძლეოსნობაში სახელწოდებით „ვეძებთ ტალანტებს“. ეს მეტად საჭირო და სახალისო ღონისძიება ბავშვებისათვის ნამდვილ ზეიმად იქცა.

შეჯიბრება ჩატარდა ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც ყოველთვის ,ჩვენი სკოლის განკარგულებაშია.

გამარჯვებული მოსწავლეები მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ, ხოლო კლასებს შორის გამარჯვებული გუნდები და მათი ხელმძღვანელი მასწავლებლები — დირექციის მიერ დაწესებული პრიზებითა და სიგელებით.

დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შემდეგ ბევრმა მშობელმა მიიყვანა შვილი სპორტული სკოლის მძლეოსნობის სექციაში. სკოლებში კი მძლეოსნობა № 1 სპორტად იქცა. ყველა კლასში ტარდება მორბენლის, მხტომელის და მტყორცნელის დღეები. დიდ დასვენებაზე სკოლასთან ახლომდებარე პარკში და ცენტრალურ სტადიონზე ორგანიზებულ გამჯანსაღებელ რბენაში თითქმის ყველა მოსწავლე მონაწილეობს.

ᲔᲚᲘ ᲨᲐᲠᲪᲕᲐᲜᲘᲐ,

ფიზკულტურის მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული.

ახალი გზით

დასასრული

ქმნელად. პირველ მასწავლებლებთან ურთიერთობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

— ახლა სულ უფრო ხშირად ამბობენ, რომ ჭადრაკი ესაა სპორტი, მეცნიერება და ხელოვნება ერთდროულად...

— ვიზიარებ ამ აზრს, მაგრამ, ვფიქრობ, ჭადრაკი იმაზე ცოტა მეტიცაა, რაც თქვენ ჩამოთვალეთ. ეს განსაკუთრებით ვლინდება ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა თავისი განვითარების ახალ, გრანდიოზულ ეტაპზე გავიდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ჭადრაკი შესანიშნავი მეგობარი და თანაშემწეა მათთვის, ვისაც სურს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. როცა ჭადრაკის მაგიდას უზიხარ, თითოეული სვლის მოფიქრება საკუთრივ გიხდება, იგი უნდა აირჩიო შენ სხვათა მითითებისა და განკარგულების ზეგიდან მიუღებლად. აი, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების ეს უნარი ყველას უნდა ჰქონდეს. ყოველმა ჩვენგანმა ცხოვრებაში, როგორც ეს საჭადრაკო პარტიაში ხდება, უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: რატომ გადავწყვიტე სწორედ ასე, რატომ მოვიქეცი ასე და არა სხვაგვარად?.. ერთი სიტყვით, ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ, ისევე როგორც საჭადრაკო სვლის გაკეთებამდე, ადამიანი განიცდის შინაგან მღელვარებას და რამდენიმე ასე თუ ისე მისაღები გადაწყვეტილებიდან ირჩევს იმას, რომელიც მისი აზრით ყველაზე უკეთესია. და აი, მაშინ საქმე, ისევე როგორც საჭადრაკო პარტია, გამარჯვებით, წარმატებით მთავრდება. ჩემი აზრით, ჭადრაკის თამაში ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს.

— როგორია წლევანდელი საჭადრაკო ბრძოლების შედეგები?

— განვლილი წელი დიდად არ გამოირჩეოდა წინა წლებისაგან. მან დაამტკიცა, რომ საბჭოთა საჭადრაკო სკოლა უწინდებურად მძლავრია. ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა კვლავ განიმტკიცა თავისი წოდება, თუმცა, გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის დაგვა „გვირგვინისთვის“ ჯერ არ შეწყდარა და ამით საჭადრაკო მოძრაობა მხოლოდ მოიგებს. რაც შეეხება გუნდურ შეჯიბრებებს, ჩვენ კვლავ „ოქროს დუბლი“ გავაკეთეთ მსოფლიო ოლიმპიადაზე — გაიმარჯვეს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ნაკრებმა გუნდებმა. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები ტრადიციისამებრ უბადლო იყო, რაც შეეხება ვაჟთა გუნდს, როგორც იცით, მან მხოლოდ ძალების დიდი დაძაბვის შემდეგ მოიპოვა წარმატება, რის თაობაზეც ოლიმპიადის შემდეგ მოურიდებელი, ძალზე მკაცრი საუბარი გვქონდა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე. ბევრი სერიოზული ღონისძიება დავსახეთ.

— როგორი იქნება ფედერაციის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებანი ახალ წელს?

— სამწუხაროდ, იგი ჯერ კიდევ ვერ იქცა ხელმძღვანელ ცენტრად ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების ფედერაციებისთვის და ეს მისი მთავარი სისუსტეა. მდგომარეობის გამოსასწორებლად, წინსვლის დასაჩქარებლად შეიქმნა ფედერაციის პრეზიდიუმის ცალკე ჯგუფი, შევიმუშავეთ მისი დებულება, კონკრეტული მიზნები და ამოცანები. ადვილი როდია მილიონობით რიგითმა და ათასობით კვალიფიციურმა მოჭადრაკენ მეტი და უკეთესი დახმარება გაუწიოს მრავალრიცხოვან საჭადრაკო კლუბებს, საჭიროა გამოვუშვათ ვიდეოკასეტები საჭადრაკო გაკვეთილების ჩანაწერით, რომელიც არსებითად ნამდვილ ვიდეოსახელმძღვანელოდ იქცევა. კასეტებზევე შეგვიძლია ჩავიწეროთ მოწინავე დიდოსტატთა კომენტარები. მაგრამ საქმე მარტო სახელოვანთა გვარებში არაა, უმთავრესი ის გახლავთ, რომ ეს ვიდეოგაკვეთილები გადასცენ დახელოვნებულმა პედაგოგებმა. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ბევრი რამაა დამოკიდებული ინაზე, თუ რამდენად სწორი იქნება ჭადრაკის შემსწავლელთა პირველი ნაბიჯები, ვინაიდან ძნელია უკვე ნასწავლის ხელახლა სწავლა.

მეტად სერიოზულად დგას ჭადრაკის სახელმძღვანელოების საკითხი. ერთი ჭადრაკის [illegible] ლებს, გწებავთ, ახლანდელ დიდოსტატებს, [illegible] — [illegible] ბლანკას, ნიმცოვიჩს, ალიოხინს, ჩიგორინს წიგნებზე... დიახ, თანაბედროვე საჭადრაკო სახელმძღვანელო დღემდე არა გვაქვს.

— რა მიზნებს ისახავს ფედერაცია საკავშირო შეჯიბრებათა, კერძოდ, სსრ კავშირის ჩემპიონატების ავტორიტეტის ასამაღლებლად?

— გვინდა ეს შეჯიბრებები კვლავ ნამდვილ დღესასწაულად ვაქციოთ, რომ ტურნირებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მსოფლიო ჩემპიონებაც, ექსჩემპიონებმაც და წამყვანმა დიდოსტატებმაც. გარდა ამისა, თითოეული მაღალი რეიტინგის მქონე მოჭადრაკე წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გამოვიდეს რომელიმე პერიფერიულ ქალაქში.

— გისურვებთ თქვენ და თქვენთან ერთად საჭადრაკო ფედერაციასაც ახალ წარმატებებს 1987 წელს.

— გმადლობთ, იმედი გვაქვს, წარმატებებს მოვიპოვებთ, ვინაიდან საამისოდ ჩვენს ქვეყანაში კოლოსალური რეზერვებია!

ფარმოგიდგენთ კანდიდატებს

დილარ ხაბულიანი, ომარ მერაბიშვილი

დასასრული

ბის ისტორიას. აქამდე ერთ სპარტაკიადაზე არც ერთი გუნდის წევრებს არ მოუპოვებიათ ამდენი ოქროს მედალი.

დილარ ხაბულიანი და მისი კოლეგები იმედით შეჰყურებენ ახალ სპორტულ სეზონს. უნდა ითქვას, რომ უფროს მწვრთნელს მხარში უდგანან გამოცდილი სპეციალისტები, მათ შორის სამი (გურამ პაპიტაშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი, გივი ზაუტაშვილი) საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელია. უწინარესად, უფროსი მწვრთნელის დამსახურებაა, რომ კოლექტივში მეგობრული, საქმიანი ატმოსფერო სუფევს, ობიექტურად წყდება ნაკრების დაკომპლექტების საკითხი, თითოეული მწვრთნელი თუ სპორტსმენი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს.

ძიუდოს მოყვარულებმა იციან, რომ დილარ ხაბულიანი თავის დროზე კარგი სპორტსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იყო. ორჯერ აქვს მოგებული სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი, საბჭოთა ნაკრებთან ერთად გაიმარჯვა ევროპის გუნდურ პირველობაში, მრავალჯერ დაუკავებია საპრიზო ადგილი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. ხაბულიანი აქტიურ სპორტს კარგად უთავსებდა სწავლას: წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (ლენინური სტიპენდიანტი იყო), შემდეგ — თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ალბათ ამიტომაც იყო, რომ უყოყმანოდ ჩაბარეს საქართველოს ნაკრები.

...მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. ეს ოთხი წელიწადი ჩვენი ძიუდოისტებისათვის პოზიციების განმტკიცების პერიოდი იყო. არადა, ამ მონაკვეთში ნაკრებს რვა უძლიერესი სპორტსმენი-ვეტერანი ჩამოშორდა, მათ შორის სამი სპორტის დამსახურებული ოსტატი — თემურ ხუბულური, შოთა ხაბარელი, თამაზ ნამგალაური. მათი ადგილი გუნდში პერსპექტიულმა ახალგაზრდა ძიუდოისტებმა დაიკავეს. ახალი თაობა მომავალშიც გამარჯვებებს გვპირდება.

* * *

„ჰაჯიმე“ — დაიწყეთ! — პირველმა ომარ მერაბიშვილმა სთქვა ქუთაისში და მოჭიდავეთა მდიდარი ტრადიციების მქონე ამ ქალაქში კიდევ ერთი ახალი სახეობის — ძიუდოს გავრცელება დაიწყო. დიახ, 1972 წელს აქ პირველად დაიგო ტატამი. 15 წელი არც ისე ბევრია იმისათვის, რომ საკუთარ სკოლაზე, ტრადიციებზე ილაპარაკო, მაგრამ... დღეს ომარ მერაბიშვილის აღსაზრდელთა მიღწევები, თუნდაც წელს ნაჩვენები შედეგები, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქუთაისელი ძიუდოისტები საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ.

...კიშინიოვიდან დაბრუნებულ ქუთაისელ ძიუდოისტს ავთანდილ გუბელაძეს, რომელმაც ახალგაზრდა ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე აბსოლუტურ წონაში გაიმარჯვა, შეხვედრა მოუწყვეს მეგობრებმა, თანაგუნდელებმა და მათმა მწვრთნელმა. იმ საღამოს თითქოს წლის მონაგარს აჯამებდნენ... მაგიდაზე, რომელსაც ომარ მერაბიშვილის შეგირდები შემოსხდომოდნენ, ქუთაისელ ძიუდოისტთა წლევანდელი ნადავლი — 14 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ბრწყინავდა.

—ორი მედალი თბილისის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე მოვიპოვეთ (გუბელაძე, ლომთაძე), ორი — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე (კიბორძალიძე, გუბელაძე), ერთიც — სსრ კავშირის პირველ აბსოლუტურ ჩემპიონატში, რომელშიც ბრწყინვალედ იასპარეზა კაკო კიბორძალიძემ, კიდევ ერთი — ქვეყნის ახალგაზრდულ ჩემპიონატში, ხუთი—საქართველოს IX სპარტაკიადაზე (რ. ლომთაძე, ზ. ჩუბინიძე, ბ. მიქელთაძე, ა. გუბელაძე, ზ. ინაკავაძე), სამი—საქართველოს პირველობაზე (გუბელაძე — მოზრდილებში, ხახალეიშვილი — იუნიორებში, გერგაია — ჭაბუკებში)... აჯამებს წლის მონაპოვარს ო. მერაბიშვილი.

ომარმა ჭიდაობა სოფელ ხოვლეს პატარა მოედანზე ისწავლა. გამარჯვებაც ხშირად უზეიმია. სწორედ იქ, ცაცხვის ჩრდილქვეშ მოწყობილ საჭიდაოზე პაექრობისას შენიშნა იგი მისმა თანასოფელმა, ამჟამად სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ქრისტეფორე ნინიაშვილმა.

ომარი თბილისში სწორედ ქრისტეფორეს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა სამბოს ილეთებს, ჭაბუკმა მალე საქართველოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

1967 წელს ომარი ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად, სულ რამდენიმე თვეში შეძლო ქალაქის სამბისტთა ნაკრების რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის მომზადება. ამ შეჯიბრებაში აღსაზრდელებთან ერთად თვითონაც მონაწილეობდა. ქუთაისის ნაკრებმა, რომელიც ყოველთვის მარცხდებოდა გორის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის კოლექტივებთან, სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ თბილისის გუნდს.

ნათქვამია, მოითხოვენ მისგან, ვისაც საქმის გაკეთება შეუძლიაო. 1972 წელს ომარი ქუთაისის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელად დაინიშნა. სწორედ ამ სახეობაში გამოჩნდა უფრო მკვეთრად მწვრთნელის ნიჭი. მას შემდეგ მან 50 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი აღზარდა და რესპუბლიკის ნაკრებს მოუმზადა ისეთი ექსტრაკლასის ძიუდოისტები, როგორიცაა ა. კიბორძალიძე, ა. გუბელაძე, შ. მიქელთაძე, რ. ლომთაძე და სხვები. მანვე მოამზადა მწვრთნელთა კვალიფიციური კადრები, და აი, დღეს მის გვერდით ენერგიულად შრომობენ ომარის ყოფილი შეგირდები ვეფხია ბალხამიშვილი, ამირან მამრიკიშვილი, მერაბ ბოგლიჩიძე და სხვები.

წლევანდელი წელი განსაკუთრებული გამოდგა.

— მიღწეულით თუ დაკმაყოფილდი, ჩათვალე, რომ მწვრთნელი აღარა ხარ. ამიტომ ჩემი სიხარული მუშაობაში, ახლის ძიებაშია... ქუთაისში ბევრია ბუნებით სპორტსმენად დაბადებული ბიჭი. მათთან თავდადებული მუშაობაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, სპორტული ტრადიციებით სახელგანთქმულ ქალაქში კვლავ არაერთი სახელოვანი ფალავანი აღიზრდება. მართალია, სავარჯიშო პირობებით ჯერჯერობით განებივრებული არა ვართ, მაგრამ გვყავს ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები, დიახსომეთ: დათო ხახალეიშვილი, ვალერი კიბორძალიძე, იმედა ჯიმშელეიშვილი, ონისე ონიანი...

როცა ეს წერილი დასაბეჭდად მზადდებოდა, რედაქციაში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი დ. ხაბულიანი გვეწვია და გვთხოვა ჩვენი სათქმელისთვის მისი სიტყვებიც მიგვემატებინა.

— ბედნიერი არიან ქუთაისელ მოსწავლეები, ასეთ კაცთან, ასეთ მწვრთნელთან რომ მეცადინეობენ, ბედნიერები ვართ ჩვენც, ნაკრების ხელმძღვანელები, ასეთი პიროვნების გვერდით რომ ვმუშაობთ, ომარი ხომ მწვრთნელთა საბჭოს წევრია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი, როგორც მწვრთნელი, დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა ძიუდოში და რაც მთავარია, კარგი მოქალაქეა.

უფროსი მწვრთნელის ამ ნათქვამს ჩვენ აღარაფერს დავუმატებთ.

თამაზ ხარაბაძე.





სსრ კავშირის ნაკრები-86

გთავაზობთ სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრების 1986 წელს ჩატარებულ შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემებსა და 1952-1986 წლების მაჩვენებლებს.

● **ჩვენი** ქვეყნის პირველმა ნაკრებმა 1986 წელს ჩაატარა 13 საერთაშორისო მატჩი, რომელთაგან 4 მოიგო, 4 ფრედ დაამთავრა, 5 წააგო გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებით 20:12.

● **ამ მატჩებში** მონაწილეობა მიიღო 7 კლუბის 30-მა ფეხბურთელმა. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდა კიევის „დინამოს“ — 13, შემდეგ მოსკოვის „სპარტაკს“ — 6, მინსკის „დინამოს“ — 4, თბილისის „დინამოს“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ — 2-2, ლენინგრადის „ზენიტს“ და მოსკოვის „დინამოს“ — თითო.

● **ნაკრებში** 13 მატჩი ჩაატარა ო. კუზნეცოვმა, 12 — ა. დემიანენკომ, 11-11 — ვ. ბესონოვმა, ა. ზავაროვმა, ო. ბლოხინმა (ყველანი კიევის „დინამოდან“), 10 — ს. ალეინიკოვმა (მინსკის „დინამო“), 8-8 — ვ. რაცმა, ი. ბელანოვმა, 7 — პ. იაკოვენკომ, 6-6 — ი. იარემჩუკმა (ყველანი კიევის „დინამოდან“), ა. ჩივაძემ (თბილისის „დინამო“), გ. ლიტოვჩენკომ (დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“) და სხვა. თ. სულაქველიძემ (თბილისის „დინამო“) ნაკრებში წლეულს ერთი მატჩი ითამაშა.

● **მეტოქეთა** კარში ბურთები გაიტანეს ი. ბელანოვმა — 6, ვ. რაცმა, ს. როდიონოვმა და ო. ბლოხინმა—2-2, გ. ლიტოვჩენკომ, ა. ზავაროვმა, ს. ალეინიკოვმა, ს. იარემჩუკმა, პ. იაკოვენკომ, თ. სულაქველიძემ, ვ. ხიდიატულინმა — თითო. უნგრელმა დაიკმა ერთი ბურთი საკუთარ კარში გაიტანა.

● **სსრ კავშირს** ფეხბურთელთა პირველმა ნაკრებმა 1952-1986 წლებში სულ 320 მატჩი ჩაატარა 55 ქვეყნის ეროვნულ გუნდებთან, აქედან მოიგო 181, ფრედ დაამთავრა 77 და წააგო 62 მატჩი, ბურთების შეფარდება 606:281, საბჭოთა ნაკრებში თბილისის „დინამოდან“ ითამაშა 25 ფეხბურთელმა. მათ სულ 457 მატჩი ჩაატარეს და 60 გოლი გაიტანეს.

● **ყველაზე** მეტი მატჩი სსრ კავშირის პირველ ნაკრებში ჩატარებული აქვს ო. ბლოხინს — 107,

იხ. 33-ე 33.

„ზამალეკის“ წარმატება

აფრიკაში დამთავრდა კონტინენტის ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ზამალეკი“ (ეგვიპტე) და „აფრიკა სპორტი“ (კოტ დივუარი).

პირველი შეხვედრა „ზამალეკში“ თავის მინდორზე მოიგო ანგარიშით 2:0, სპასუხო მატჩში კი ზუსტად ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „აფრიკა სპორტმა“. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანების სერია. აქ უფრო ზუსტნი იყვნენ „ზამალეკის“ ფეხბურთელები — 4:2, აფრიკის ჩემპიონთა თასიც მათ მოიპოვეს.

ჯანმრთელობა, უნინარეს ყოვლისა

რადიო-ტანვარჯიში ყველასათვის

გადაიცემა 1987 წლის 1 იანვრიდან

ადგილზე სიარულის იმიტაცია და ადგილზე სიარული.

ფეხები შეაერთეთ, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ. თვლაზე ერთი — მარცხენა ფეხი ოდნავ მოხარეთ მუხლში, ქუსლი ასწიეთ ზევით ცერის იატაკიდან მოუცილებლად; თვლაზე ორი — იგივე მოძრაობა გაიმეორეთ მარჯვენა ფეხით. ვარჯიშის დროს ხელებით შეგიძლიათ დაეყრდნოთ მაგიდას ან სკამის საზურგეს. ვარჯიშის შესრულებისას წელში არ მოიხაროთ, თავი არ დახაროთ, ისუნთქეთ თავისუფლად (ვარჯიში გრძელდება 10-15 წამი).

გადადით ჩვეულებრივ სიარულზე. მუხლი ასწიეთ მაღლა, მკლავები ამოძრავეთ განივრად, ისუნთქეთ თავისუფლად. იარეთ 40-45 წმ.

I ვარჯიში — „ზემკლავი და მიმკლავი“ (I და VIII ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში, თითოეული ვარჯიში მეორდება 8-10 ან 10-12-ჯერ).

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, გაიმართეთ.

თვლაზე ერთი-ორი — მკლავები წინ გაიტანეთ, ასწიეთ ზევით, წელში ოდნავ გაიზნიქეთ, თავი გადასწიეთ უკან, ერთდროულად აიწიეთ ფეხის ცერებზე და ჩაისუნთქეთ.

თვლაზე სამი-ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და ამოისუნთქეთ.

II ვარჯიში — მკლავების მოხრა და განზე გამართვა.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, განმკლავი.

თვლაზე ერთი — თითები მოიმუჭეთ, მარცხენა მკლავი მოხარეთ მკერდის წინ, ისე, რომ იდაყვი მხრის დონეს ჯუთანაბრდეს, ხოლო მარჯვენა ტანის უკან გაიტანეთ.

თვლაზე ორი — მკლავები გამართეთ განზე.

თვლაზე სამი-ოთხი — იგივე ვარჯიში შეასრულეთ მარჯვენა მკლავის ტანის წინ, ხოლო მარცხენის — ტანის უკან მოხრით.

მკლავების განზე გამართვისას ჩაისუნთქეთ, მოხრისას ამოისუნთქეთ.

III ვარჯიში — „ზეტანის ბრუნი, განმკლავი“.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, წელში გაიმართეთ.

თვლაზე ერთი — მკლავები მოხარეთ და იდაყვები ტანზე მიიბჯინეთ, თითები ნახევრად მომუჭეთ.

თვლაზე ორი — ტანი მოაბრუნეთ მარცხნივ და მკლავები გამართეთ განზე, ნებების ზევით ამოტრიალებით.

თვლაზე სამი — გასწორდით და მკლავები მოხარეთ წინ, იდაყვების ტანზე მიბჯენით.

თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ამის შემდეგ იგივე ვარჯიში შეასრულეთ ტანის მარჯვნივ შემობრუნებით.

მკლავების განზე გამართვისას ჩაისუნთქეთ, მოხრისას ამოისუნთქეთ.

IV ვარჯიში — ზნექა განზე.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, გაიმართეთ, დოინჯი.

თვლაზე ერთი — ტანი დახარეთ მარცხნივ.

თვლაზე ორი — გაიმართეთ.

თვლაზე სამი — ტანი დახარეთ მარჯვნივ.

თვლაზე ოთხი — გაიმართეთ.

დახრისას ამოისუნთქეთ, გამართვისას — ჩაისუნთქეთ.

V ვარჯიში — ფეხის განზე აქნევა.

ფეხები ერთად, დოინჯი.

თვლაზე ერთი — მარცხენა ფეხი აიქნიეთ განზე და ზევით.

თვლაზე ორი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

თვლაზე სამი — მარჯვენა ფეხი აიქნიეთ განზე და ზევით.

თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

VI ვარჯიში — ნახევარბუქნი, განმკლავი.

ფეხები ერთად, გაიმართეთ, დოინჯი.

თვლაზე ერთი—შეასრულეთ ნახევარბუქნი ზეტანის მარცხნივ შებრუნებით, ერთდროულად მკლავები გამართეთ განზე, ნებების ზევით ამოტრიალებით.

თვლაზე ორი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ამის შემდეგ შეასრულეთ იგივე ვარჯიში ზეტანის მარჯვნივ შემობრუნებით.

მკლავების განზე გამართვისას ჩაისუნთქეთ, დოინჯის შემოდგმისას ამოისუნთქეთ.

VII ვარჯიში — ადგილზე სირბილი (ვისაც ადგილზე სირბილი ეძნელება, შეუძლია მის ნაცვლად რამდენიმეჯერ ჩაბუქნოს, ან ადგილზე იაროს).

ვარჯიშს ვიწყებთ ადგილზე სიარულით, შემდეგ გადავდივართ სირბილზე.

სირბილის დროს მუხლი ასწიეთ მაღლა, მკლავები ნახევრად მოხარეთ და ამოძრავეთ თავისუფლად, არ დაიძაბოთ, ისუნთქეთ თავისუფლად.

სირბილი დაამთავრეთ ისევ სიარულით რამდენიმე წამის განმავლობაში.

ადგილზე სიარულის დროს რამდენიმეჯერ მკლავები ასწიეთ ზევით და ჩაისუნთქეთ, შემდეგ მკლავები დაუშვით და ამოისუნთქეთ.

VIII ვარჯიში — ნახევარბუქნი, ადგომა უკუმკლავით.

ფეხები ერთად, წელში გაიმართეთ, ზემკლავი. ვარჯიშის დროს მკლავები და მთელი ტანი მოდუნებულია.

თვლაზე ერთი — შეასრულეთ ნახევარბუქნი და ადექით, თან მკლავები დაუშვით და უკან გაიტანეთ.

თვლაზე ორი — ჩაბუქნეთ და ადექით, თან მკლავები დაუშვით და ისევ ასწიეთ ზევით.

სსრ კავშირის ნაკრებები

(დასასრული)

შემდეგ მოდიან: ა. შესტერნიოვი (ცსკა) — 89, ლ. იაშინი („დინამო“, მ.) — 75, მ. ხურცილავა („დინამო“, თბ.), რ. დასაევი („სპარტაკი“, მ.) — 67-67, ვ. ვორონინი („ტორპედო“ მ.) — 65, ვ. ბესონოვი („დინამო“ კ.) — 62, ვ. ივანოვი („ტორპედო“ მ.), ვ. კაპლიჩნი (ცსკა) — 59-59, ი. ნეტო („სპარტაკი“ მ.) — 55, ა. დემიანენკო („დინამო“ კ.), ვ. კოლოტოვი („დინამო“ კ., „რუბინი“ ყ.) — 53-53, ი. ჩისლენკო („დინამო“ მ.), ე. ლოვჩევი („სპარტაკი“ მ.) — 51-51.

● **ნაკრებში** ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობით ქართველ ფეხბურთელთა მაჩვენებლები მ. ხურცილავას შემდეგ ასეთია: რ. ქოძუაშვილი — 49 მატჩი, ს. მეტრეველი — 48 (28 თბილისის „დინამოში“ თამაშის დროს), ა. ჩივაძე 47, თ. სულაქველიძე — 44, მ. მესხი — 35, ა. კავაზაშვილი — 30 (21 — მოსკოვის „ტორპედოს“, 9 — მოსკოვის „სპარტაკის“ სახელით), რ. შენგელია — 26, ვ. დარასელია — 22, გ. ნოდია — 20, გ. ჩოხელი, დ. ყიფიანი — 19-19, კ. ასათიანი — 16, შ. ხინჩაგაშვილი, ვ. გუცაევი — 11-11, რ. ჩელებაძე — 9. გ. სიჭინავა — 8, გ. ცხოვრებოვი — 7, მ. მაჩაიძე, ვ. ქორიძე — 4-4, ა. ღოღობერიძე, თ. კოსტავა — 3-3, რ. ურუშაძე, ვ. ბარქაია — 2-2, ა. ჭკუასელი, ს. კუტოვაძე, ო. გაბელია, ნ. ხიზანიშვილი — თითო.

● **სსრ კავშირის** ნაკრებმა სულ 594 გოლი გაიტანა, ხოლო დანარჩენი 12 ბურთი მეტოქეებმა საკუთარ კარში გაიტანეს. პირველ ადგილზე აქაც ო. ბლოხინია — 39. ქართველ ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს ს. მეტრეველმა — 11, რ. შენგელიამ — 10, დ. ყიფიანმა — 7, მ. ხურცილავამ — 6, კ. ასათიანმა, გ. ნოდიამ — 5-5, მ. მესხმა — 4, ა. ჩივაძემ, ვ. დარასელიამ, რ. ჩელებაძემ — 3-3, ვ. ბარქაიამ, თ. სულაქველიძემ — 2-2, ა. ღოღობერიძემ, ვ. გუცაევმა, ვ. ქორიძემ, თ. კოსტავამ — თითო.

● **ჩამოვთვლით** საიუბილეო გოლებს: მე-100 — ჰ. ფედოსოვი („დინამო“ მ.), მე-200 — ი. საბო („დინამო“ კ.), მე-300 — პერუელმა ფეხბურთელმა ლიმაშმა, მე-400 — ვ. კოლოტოვი, მე-500 — ს. ანდრეევი (ასკ დონის როსტოვი), მე-600 — თ. სულაქველიძე. საინტერესოა, რომ ყველა ეს საიუბილეო გოლი ჩვენმა ფეხბურთელებმა უცხოეთის სტადიონებზე გაიტანეს.

● **320 მატჩი** ჩვენმა ნაკრებმა ჩაატარა 107 ქალაქის სტადიონებზე. მათ შორის მოსკოვში 81, თბილისში — 9, მეხიკოში — 9, სოფიაში — 9, ბუდაპეშტში — 8, კიევში — 8, პარიზში — 7 და სხვ.

● **ნაკრების** კაპიტანად სულ არჩეული იყო 31 ფეხბურთელი. მათგან ყველაზე მეტჯერ — ა. შესტერნიოვი (67 მატჩი), ი. ნეტო — 52, ა. ჩივაძე — 26, მ. ხურცილავა — 23, რ. დასაევი — 19, ვ. ივანოვი — 15 და სხვ. ერთ ოფიციალურ მატჩში ნაკრები მინდორზე გამოიყვანა ს. მეტრეველმა.

● **ჩვენს** ნაკრებს სულ 16 უფროსი მწვრთნელი ჰყავდა. ყველაზე მეტჯერ გუნდს ხელმძღვანელობდა გ. კაჩალინი — 76 მატჩი (49 მოგება, 15 ფრე, 12 წაგება, ბურთების შეფარდება 180:65). გ. კაჩალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მოიგო ოლიმპიური ტურნირი და ევროპის თასი. შემდეგ მოდიან კ. ბესკოვი (43 მატჩი, 25 მოგება, 12 ფრე, 6 წაგება, ბურთების შეფარდება 82:32), ვ. ლობანოვსკი — 35 (19 მოგება, 10 ფრე, 6 წაგება, გატანილი და მიღებული ბურთები 66:29), ნ. მოროზოვი — 31 (15 მოგება, 9 ფრე, 7 წაგება, გატანილი და მიღებული ბურთები 51:33) და სხვ.

რევაზ შენგელია.

პირველი ჯილდო

ჟ. კალუგაში გამართული გაკეთებისა და ზამთრის ცურვის მოყვარულთა კლუბების საკავშირო შეჯიბრებიდან სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული კლუბის „ივერიის“ წევრები საახალწლო ნობათით დაგვიბრუნდნენ: პეტრე მაჭავარიანმა, ალექსანდრე ციცქიშვილმა, იასონ ტყემალაძემ და ფეოდორ პოპოვმა საუკეთესოდ იასპარეზეს მდინარე ოკას ყინულოვან ზედაპირზე მოწყობილ ხელოვნურ 25-მეტრიან საცურაო აუზში (შეჯიბრების მონაწილეებს, პირველი ეტაპის დაძლევის შემდეგ, ესტაფეტა თანაგუნდელისათვის უნდა გადაეცათ).

ჩვენს სპორტსმენებს, რომლებიც 10-გრადუსიან ყინვას არ შეუშინებია, მხოლოდ მასპინძლებმა და ქალაქ კიროვის წარმომადგენლებმა აჯობეს. „ივერიამ“ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ შეჯიბრებაზე ჩვენმა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა და საპატიო ჯილდოც დაისაკუთრეს.

იური გალდაპი,
სპორტის ოსტატი.

ინფორმაცია

მელბურნი. ავსტრალიის ჩოგბურთელებმა დევისის თასი წლეულს ოცდამეექვსედ მოიპოვეს. პოპულარული ტურნირის ფინალში (ამ შეჯიბრებას სხვაგვარად მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატსაც უწოდებენ) მასპინძლებმა შვეიცის ძლიერი ნაკრები დაამარცხეს — 3:2.

ბრიუსელი. ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა ლენინგრადის ვაეთა ნაკრებმა. ნახევარფინალში საფრანგეთის „გრენობლი“ დაამარცხა (2:0), ფინალში კი ბელგიის ეროვნული ნაკრები (2:0).

ბროზნი. საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი კრივში ადგილობრივი სპორტსმენი რამზან სუბიევი გახდა. ეს საპატიო ტიტული მან უკვე მეორედ მოიპოვა, მანვე მოიგო საბჭოთა კავშირის თასი 91 კგ. წონით კატეგორიაში. საპატიო პრიზს სხვა წონებში დაეუფლნენ: ნშან მუნჩიანი (ერევანი), გამზათ ხანბატიროვი (ლენინგრადი), ლერნიკ პაპიანი (კიროვაკანი), ალექსანდრე არტიომი (ლენინგრადი), იგორ კოლესნიკოვი (კრასნოდარი), ვიაჩესლავ იანოვსკი (ვიტებსკი), ვახიდ მაგომადოვი (გროზნო), ვიქტორ ეგოროვი (ვლადიმირი), რუსლან ტარამოვი (გროზნო), ხაკიმ მატჩანოვი (ტაშკენტი).

ოლიმპიური ჩემპიონის სახელობისა

თბილისის მძლეოსნობის სასახლე მარტო მძლეოსანთა შეჯიბრებებს როდი მასპინძლობს, სპორტის სხვა სახეობებშიც ეწყობა ტურნირები. ახლახან მძლეოსნობის სასახლეში გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევან თედიაშვილის სახელობის კლუბის პრიზზე.



სარბიელზე გამოვიდა ერევნის, როსტოვის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორისა და ქობულეთის 193 მოჭიდავე. ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი თბილისელებმა მოიპოვეს, კარგად იასპარეზეს როსტოვის წარმომადგენლებმაც. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ახმედ გიუნაშვემა (როსტოვი), ნუგზარ შიხიაშვილმა (თბილისი), კობა გაგლოშვილმა (გორი), ალექსანდრე ლევიძემ (ქუთაისი), დავით თვაურმა (თბილისი), რომან მიქელაძემ (ქობულეთი), ჯულხან თუშურმა, ალექსი მამალაძემ (ორივე — თბილისი), რამაზ ბუზარიაშვილმა (საგარეჯო), ევგენი ლეონტიევმა (როსტოვი), აკაკი ბაჯელიძემ, გია ნაკოშაშვილმა (ორივე — თბილისი).

ლევან თედიაშვილის სახელობის კლუბის პრიზებით დაჯილდოვდნენ რამაზ ბუზარიაშვილი, ევგენი ლეონტიევი და აკაკი ბაჯელიძე. მათთან ერთად მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს რომან მიქელაძემ, ალექსი მამალაძემ, დავით მელიქიშვილმა და სხვებმა.

ნანა ბერიშვილი.

* * *

სურათზე: ერთ-ერთი ორთაბრძოლის მომენტი.

ედუარდ შახატუნიანის ფოტო.



სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 21 დეკემბერს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 51-ე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 860 517 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (70 ბარათი) მოგება 737 მანეთია, 4-ისთვის (2 640) — 29, სამისთვის (56279) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 7 298 546 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (36 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (6634) — 125, სამისთვის (199016) — 5.

მოგებული თანხის განაღდება 51-ე ტირაჟისა და 10-ტირაჟიანი ბარათებისა, რომლებიც მონაწილეობენ 39-დან 51-ე ტირაჟებში, იწარმოებს 1987 წლის 5 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით.

* * *

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მიმდინარე წლის ბოლო, 52-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 16 (საცხენოსნო სპორტი), 25 (საციგაო სპორტი), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 38 (ალპინიზმი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 9 (საგზატკეცილო ველოსიპედი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 25 (საციგაო სპორტი).

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
ლეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება —, 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07795